საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
National Statistics Office of Georgia
საქსტატი
GEOSTAT

1750-1-2-202008041653

N 1-1750 04/08/2020

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ ნიკოლოზ გაგუას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრის მოადგილეს
ბატონ შალვა გოგოლაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი წოწკოლაურს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
პირველ მოადგილეს ქალბატონ ეკატერინე მიქაბაძეს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის
პირველ მოადგილეს ბატონ გიორგი ხანიშვილს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ მზია გიორგობიანს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ ნინო ცაციაშვილს

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოადგილეს ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს
ბატონ არჩილ მესტვირიშვილს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის
უფროსს ანა კვერნაძეს

ქალბატონო/ბატონო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის #585 დადგენილებით დამტკიცდა „2020-2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია კონკრეტული პრიორიტეტული მიზნები, ამოცანები და მათი მიღწევისათვის განსახორციელებელი აქტივობები, რომლებიც დროშია გაწერილი და განსაზღვრულია მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები.

თბილისი, ს. დადიანის №30, 0180
ტელ: +995 32 236 72 10 ელ-ფოსტა: info@geostat.ge
ფაქსი: +995 32 236 72 13 www.geostat.ge
საქსტატი www.geostat.ge

„პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის #629 დადგენილების შესაბამისად უწყებათაშორის საბჭოზე წარმოგიდგენთ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიშს.

ანგარიში მომზადებულია უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს მიერ, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მონიტორინგის ანგარიში შეიცავს 2020 წლის ექვსი თვის პერიოდის პროგრესანგარიშს და სტატუსანგარიშს.

ახალი კორონავირუსის COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გთავაზობთ უწყებათაშორისი საბჭოს სხდომა გავმართოთ ელექტრონულად, ონლაინ რეჟიმში (ZOOM აპლიკაციის გამოყენებით), მიმდინარე წლის 11 აგვისტოს, 10 საათზე. შეხვედრის გამართვის აპლიკაციის ID მისამართი გამოგეგზავნებათ ელექტრონულ ფოსტაზე.

სამდივნოს საკონტაქტო პირია საქსტატის სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი ბორის ეზუგბაია (bezugbaia@geostat.ge; მობ.: 599 71 44 07; ტელ: 236 72 10 (100)).

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი